ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №231

ქ. თბილისი 21 სექტემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორე მხრივ ფ/პ ოლეგ ბერლოვის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): (საბიუჯეტო სახსრებით) სანტექნიკური სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (კერძოდ, კოლეჯის სასწავლო კორპუსის (დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა.) პირველ სართულზე N101 ოთახში წყალგაყვანილობის (ცხელი/ცივი წყალი) მონტაჟი და კანალიზაციის სისტემასთან მიერთება), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. CPV კოდი - 45330000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: 500,00 (ხუთასი) ლარს (აქედან საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 100,00 ლარს).

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავ მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი უპასუხებს ამ სფეროსი არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა,

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება **2018 წლის 21 სექტემბრიდან 2018 წლის 30 სექტემბრამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი გოდერძი მადურაშვილი.

6. ანგარშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.6 იმ თემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულოების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 21 სექტემბრიდან 2018 წლის 30 ნოემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს–მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომეწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დეფექტის სათანადო მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთნ ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თნაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთნ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა, ს/კ 209467646;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ; ორგანიზაციული კოდი 32030111

დირექტორი: ნონა ღუდუშაური

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
ფ/პ ოლეგ ბერლოვი
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას მე-3 კვარტალი, კორპ 3. ბ. N57
სს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE02LB0711169928265000
პ/ნ 01009012074

ოლეგ ბერლოვი

(ხელმოწერა)

მიღება– ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 25 .09.2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის გოდერძი მადურაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ ოლეგ ბერლოვის სახით ვადგენთ მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2018 წლის 21 სექტემბრის N231 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელმა შეასრულა სანტექნიკური სამუშაოები (დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა.) პირველ სართულზე N101 ოთახში წყალგაყვანილობის (ცხელი/ცივი წყალი) მონტაჟი და კანალიზაციის სისტემასთან მიერთება), რომლის ღირებულება შეადგენს 500,00 ლარს.

მიიღო:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“
მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი
გოდერძი მადურაშვილი

ჩააბარა:

ფ/პ ოლეგ ბერლოვი